



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ანგარიში

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯვასა
და შესრულებასთან დაკავშირებით 2018-2019 წლებში
განხორციელებული აუდიტების შესახებ



საჩივრი

ანგარიშის საფუძვლები	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	4
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებებზე რეაგირება	7
1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	9
1.1 თანამშრომლებზე გაცემული დანამატი	9
1.2 საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება	9
1.3 წარმომადგენლობითი ხარჯი	10
1.4 მივლინება	11
1.5 დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსება საკუთარი შემოსავლებიდან	12
1.6 სატრანსპორტო საშუალებების რიცხოვნობა და სანავის ხარჯები	13
2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	16
2.1 მოსახლეობის წყალმომარაგების ნაკლოვანებები	16
2.2 უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები	17
2.3 დაუსრულებელი პროექტები	19
2.4 მიწოდების ვადების დაუსაბუთებელი ცვლილებები	21
2.5 ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციების გამოყენების ხარვეზები	22
2.6 მუნიციპალიტეტების მიერ ანაზღაურებული შეუსრულებელი სამუშაოები	23
2.7 სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვა	24
3. მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები	26
4. მუნიციპალური ქონების განკარგვა	27
5. ფინანსური რესურსების მართვა	28
6. მუნიციპალური ქონების ინვენტარიზაცია	29
7. საკონსულტაციო მომსახურება	30
8. შიდა აუდიტი	30
9. სხვადასხვა დარღვევა-ნაკლოვანება	31
დანართი	33

ანგარიშის საფუძვლები

ანგარიშის სამართლებრივი საფუძვლები	ანგარიში მომზადებულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, რომლის საფუძველზე სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს პარლამენტს 2 წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს მუნიციპალიტეტებში განხორციელებული აუდიტების შესახებ.
ანგარიშის დოკუმენტური საფუძვლები	ანგარიშის მოსამზადებლად გამოყენებულია: ა) 2018-2019 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტებში ჩატარებული აუდიტების ანგარიშები; ბ) მუნიციპალიტეტების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარმოდგენილი დოკუმენტები გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების შესახებ.
ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებლობა	მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებით ჩატარებული აუდიტების შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.
ჩატარებული აუდიტების მასშტაბები	მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებით 2018-2019 წლებში ჩატარებული აუდიტების მასშტაბი მოიცავდა მუნიციპალიტეტების ორგანოების საქმიანობის შესწავლას შემდეგი მიმართულებებით: • მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა – საქმიანობის წარმართვისას; • საჯარო რესურსების გამოყენებასა და ფინანსური ანგარიშგების შედგენაზე გავლენის მქონე საკანონმდებლო და სხვა აქტები; • რაციონალური ხარჯვა – სახსრების გამოყენება ეკონომიურობის პრინციპის გათვალისწინებით; • ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწესრიგად.



შემაჯავებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტებში ჩაატარა 55 აუდიტი, მათ შორის, 51 – შესაბამისობის, 3 – ეფექტიანობის და 1 (ერთი) – ფინანსური აუდიტი. აუდიტს დაექვემდებარა სულ 3,249,235.75 ათასი ლარის ფინანსური ოპერაციები.

აუდიტების შედეგად სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანება გამოვლინდა 900-ზე მეტ შემთხვევაში, თანხით – 99,308.4 ათასი ლარის ოდენობით. ხარვეზები ძირითადად გამოწვეულია ფინანსური რესურსების არაეკონომიური და არაპროდუქტიული განკარგვით, შესყიდვების პროცესში არსებული დარღვევებითა და ფინანსური აღრიცხვის პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებებით.

ჩატარებული აუდიტების შედეგად საბიუჯეტო სახსრების მართვაში არსებული ნაკლოვანებები გამოვლინდა შემდეგი მიმართულებებით:

სახელმწიფო შესყიდვების მართვა – სახელმწიფო შესყიდვების მართვის პროცესში გამოვლინდა 45 მილიონ ლარამდე ღირებულების სხვადასხვა სახის დარღვევა, რაც ძირითადად განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

- საბიუჯეტო თანხები გადარიცხულია შესაბამისი დოკუმენტური დასაბუთების გარეშე;
- მუნიციპალიტეტებმა დაუსაბუთებლად მისცეს დისკვალიფიკაცია დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტებს და გასწიეს არაეკონომიური ხარჯი;
- მიმწოდებლების მხრიდან დარღვეულია აფიდავიტის მოთხოვნები;
- სამუშაოების დაგეგმვისა და შესრულების პროცესში არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები, რამაც შემსყიდველი ორგანიზაციის პირობების გაუარესება გამოიწვია;
- შესყიდვის პროცესში საბიუჯეტო რესურსები განკარგულია არაეკონომიურად;
- მუნიციპალიტეტმა არ გამოიყენა ხელშეკრულებით განსაზღვრული გარანტირების მექანიზმი და ვერ მიიღო შესაბამისი თანხები;
- მუნიციპალიტეტმა აანაზღაურა შეუსრულებელი სამუშაოები და სხვ.

სახელმწიფო შესყიდვების სწორად განხორციელება ხელს უწყობს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას, შესყიდვების მონაწილეთა შორის ჯანსაღი კონკურენციის განვითარებასა და სამართლიან მიდგომას.

საბიუჯეტო რესურსების მართვა – საბიუჯეტო რესურსების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად, არასწორად განკარგული თანხები 30 მილიონ ლარზე მეტია, კერძოდ:

- თანხები დაიხარჯა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომლებიც დაუსრულებელია და მოსახლეობა ვერ სარგებლობს;
- საბიუჯეტო რესურსები განკარგულია არამიზნობრივად და არაეფექტიანად;
- საბიუჯეტო რესურსი დაიხარჯა პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით;
- მუნიციპალიტეტებს ანგარიშზე ერიცხებათ არსებითი მოცულობის თავისუფალი საბიუჯეტო ნაშთები და სხვ.

შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში მუნიციპალიტეტებმა სათვის უმნიშვნელოვანესია პრიორიტეტების განსაზღვრა პირველი რიგის ამოცანების გადასაწყვეტად, ასევე სამუშაოების დაგეგმვა და განხორციელება საბიუჯეტო სახსრების რაციონალური გამოყენებით.



აქტივების მართვა – 2018-2019 წლებში ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტები ვერ უზრუნველყოფენ ქონებიდან მისაღები შემოსავლების სრულად მობილიზებასა და აქტივების სათანადო დაცვას. გამოვლენილი დარღვევების საერთო მოცულობა 24 მილიონ ლარამდეა, კერძოდ:

მუნიციპალიტეტები ვერ უზრუნველყოფენ საიჯარო ქირის ამოღების ადმინისტრირებას, რის შედეგად ადგილობრივი ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი შემოსავლები იკარგება;

- მუნიციპალიტეტებში ქონების პრივატიზება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით;
- მუნიციპალური ქონებით სარგებლობენ არაუფლებამოსილი პირები;
- მუნიციპალური ქონების არასაბაზრო ღირებულებით შეფასების გამო, ადგილობრივი ბიუჯეტები მნიშვნელოვან შემოსავლებს კარგავენ;
- მუნიციპალიტეტები აქტივებს განკარგავენ არაეფექტიანად;
- მუნიციპალიტეტებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა და სხვ.

ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება – ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესში აუდიტორული შემოწმებებით გამოვლინდა სხვადასხვა ხასიათის და შინაარსის ხარვეზები, მაგალითად:

ზოგიერთი მუნიციპალიტეტი არ ადგენს ფინანსურ ანგარიშგებას, არ აწარმოებს ბუღალტრულ გატარებებს ან აწარმოებს არასრულყოფილად;

- მუნიციპალიტეტებში არ არის აღრიცხული ძირითადი აქტივების, ასევე ფინანსური მოთხოვნების ნაწილი;
- საბიუჯეტო ოპერაციების განხორციელებისას გამოყენებულია შეუსაბამო საბიუჯეტო მუხლები და სხვ.

აქტივების სწორი გამოყენება ხელს უწყობს მოსახლეობის დამატებითი სერვისებით უზრუნველყოფას, საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზებას და მიმართულია ქონების სარგებელიანად და მიზნობრივად გამოყენებისკენ.

ფინანსური ანგარიშგების მიზანია მომხმარებელს მიეწოდოს სათანადო ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.



ცხრილი 1. აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევების თანხობრივი მაჩვენებლები კატეგორიების მიხედვით (ათასი ლარი)¹

	დარღვევის კატეგორია	თანხა
სახელმწიფო შესყიდვების მართვა	საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი განკარგვა	15,908.9
	მიმწოდებლისთვის ზედმეტად ანაზღაურებული თანხები	2,018.1
	დოკუმენტური დასაბუთების გარეშე ანაზღაურებული ხარჯი	7,920.3
	ბიუჯეტში მიუმართავი სახსრები	6,755.2
	საბიუჯეტო რესურსების არაეკონომიური განკარგვა	4,511.2
	შესყიდვების პროცესთან დაკავშირებული სხვა დარღვევები	7,845.4
საბიუჯეტო რესურსების მართვა	საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ ხარჯვა	14,743.1
	საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი განკარგვა	4,670.0
	ზედმეტად გადახდილი საბიუჯეტო სახსრები	3,331.1
	საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი განკარგვა	115.4
	საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული სხვა დარღვევები	7,530.0
აქტივების მართვა	მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში მიუმართავი სახსრები	22,100.8
	აქტივების არაეფექტიანი განკარგვა	1,442.6
	აქტივების მართვის სხვა დარღვევები	416.3
ჯამი:		99,308.4

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018-2019 წლებში ადგილობრივ თვითმმართველობებში ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა, რომ მნიშვნელოვანი სისტემური ხარვეზებით მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობისა და ექსპლოატაციის პროცესი, ქონების განკარგვა, მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვა და წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ხარვეზები ძირითადად გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

- მუნიციპალიტეტების პასუხისმგებელი პირები ორგანიზაციულად დროულად ვერ უზრუნველყოფენ პრიორიტეტების განსაზღვრას და სახელმწიფო შესყიდვების პროცესის დაწყებას. შესაბამისად, ინფრასტრუქტურული პროექტები იგეგმება/ხორციელდება დაგვიანებით და მოსახლეობა განსაზღვრულ ვადაში მატერიალური სიკეთით ვერ სარგებლობს;
- მუნიციპალიტეტებში არ აქვთ დანერგილი კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დადგენილი ხარისხის ინფრასტრუქტურული პროექტების მიღებას, რის შედეგად ხშირია ექსპლოატაციის პროცესში ინფრასტრუქტურული ობიექტების დაზიანების შემთხვევები;
- მუნიციპალიტეტების პასუხისმგებელი პირები არ ითვალისწინებენ საქართველოს მთავრობის სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტებს, რომლებიც შემუშავებულია ფინანსური რესურსების რაციონალური და ეკონომიური ხარჯვის მიზნით;
- მუნიციპალიტეტების პასუხისმგებელი პირები ვერ/არ საზღვრავენ საუკეთესო ალტერნატივებს იმ საკითხების გადაწყვეტისას, რომლებიც სრულად არ არის დარეგულირებული მოქმედი კანონმდებლობით. შედეგად, მიღებული გადაწყვეტილებები არაეფექტიანია;
- მუნიციპალიტეტების პასუხისმგებელი პირები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ და არ აკონტროლებენ იჯარით გაცემული ქონებიდან მისაღებ შემოსავლებს, რის შედეგად ბიუჯეტში მობილიზებული არ არის არსებითი მოცულობის თანხები;

¹ ჩატარებული აუდიტების შედეგად სახელმწიფო შესყიდვების, საბიუჯეტო რესურსებისა და აქტივების მართვის მიმართულებით გამოვლინდა ისეთი მიგნებებიც, რომელთა ზუსტი ფინანსური შედეგის განსაზღვრა ვერ მოხერხდა.




- პასუხისმგებელი პირები ზოგიერთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტების საკუთრებაში არსებულ ქონებას განკარგავენ პირდაპირი ფორმით, აუქციონის გამოყენების გარეშე, საბაზროსთან შეუსაბამო ფასად;
- მუნიციპალიტეტების პასუხისმგებელი პირები ზოგჯერ იურიდიულ სუბიექტებს აფუძნებენ სათანადო დასაბუთებისა და საჭიროების გარეშე ან/და ზრდიან არსებული ორგანიზაციების სამტატო რიცხოვნობას და სხვ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილ დაჩქვავა-ნაკლოვანებებზე რეაგირება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მთავარი მიზანია საჯარო ფინანსების მართვის პროცესის გაუმჯობესება. აღნიშნულის მისაღწევად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მუნიციპალიტეტების მიმდინარე საქმიანობაში დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოჩენა, არამედ ღონისძიებების გატარება, რათა მომავალში მსგავსი ტიპის ხარვეზები არ განმეორდეს. ამისათვის სამსახური გასცემს რეკომენდაციებს და მეთვალყურეობას უწევს მათ შესრულებას.

გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგის ფარგლებში სამსახური სწავლობს როგორც შესრულებულ რეკომენდაციებს, ასევე აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმებს რეკომენდაციების შესრულების შესახებ. 2018-2019 წლებში სამსახურმა გასცა 685 რეკომენდაცია, მათ შორის, 2018 წელს – 368, ხოლო 2019 წელს – 317. რეკომენდაციების მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შესრულებულია 282 რეკომენდაცია, მათ შორის: 2018 წლის – 166 და 2019 წლის – 116 რეკომენდაცია; ნაწილობრივ შესრულდა 171 რეკომენდაცია, მიმდინარე სტატუსითაა 2018 წლის – 45 და 2019 წლის – 89 რეკომენდაცია; რეაგირება არ მომხდარა 80 რეკომენდაციაზე. კერძოდ, შეუსრულებელია 2018 წლის – 47 და 2019 წლის – 33 რეკომენდაცია. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის კანონმდებლობაში განხორციელებული სხვადასხვა ცვლილების გამო, 18-მა რეკომენდაციამ დაკარგა აქტუალობა და საკითხები დარეგულირდა კანონმდებლობით.

დიაგრამა 1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018-2019 წლებში გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების მდგომარეობა



გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებებზე მუნიციპალიტეტების რეაგირების შედეგად:

- აღდგენილი და გამოსწორებულია 9 მილიონ ლარამდე ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები, ხოლო 5.3 მილიონი ლარის ღირებულების პროექტებზე ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მუნიციპალიტეტებმა დაიწყეს სათანადო ღონისძიებების გატარება, რაც მოსახლეობას საშუალებას აძლევს აღნიშნული პროექტებით ისარგებლოს გრძელვადიან პერიოდში;
- მუნიციპალიტეტებმა დაიწყეს კონტროლის დამატებითი მექანიზმების დანერგვა სამუშაოების შესყიდვის პროცესში, რომელიც შეამცირებს შეუსრულებელი სამუშაოების ჩაბარებისა და ანაზღაურების რისკებს, თუმცა აღნიშნული საკითხი მუნიციპალიტეტებში ძირითადად მოუწესრიგებელია;
- მუნიციპალიტეტებმა გააუმჯობესეს იჯარით გაცემული ქონების ადმინისტრირება და ღონისძიებები გაატარეს მიმწოდებლებზე დარიცხული საჯარიმო თანხების ამოღების მიზნით, რაც შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში ხელს შეუწყობს ადგილობრივ ბიუჯეტში საკუთარი შემოსავლების გაზრდას;
- აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებების შედეგად, მუნიციპალიტეტების/დაფუძნებული სუბიექტების ანგარიშებზე დაბრუნდა ზედმეტად გადახდილი 200 ათას ლარზე მეტი თანხა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან. 2018-2019 წლებში 41 აუდიტის ანგარიშში დაფიქსირებული სისხლის სამართლის დანაშაულის მაღალი რისკის შემცველ 138 გარემოებასთან დაკავშირებული მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაგზავნილია სამართალდამცავ ორგანოებში².

² საკითხები სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნილია 41 წერილით



1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

1.1 თანამშრომლებზე გახვეწილი დანახარები

2016-2017 წლებში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტებს უფლება ჰქონდათ თანამშრომლებზე დანახარები გაეცათ ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისთვის. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, დანახარების გაცემისას, ყოველ ჯერზე მუნიციპალიტეტებს სათანადოდ უნდა დაესაბუთებინათ გაცემის ობიექტური საჭიროება და მიზანშეწონილობა. თვითმმართველ ერთეულებში ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა, რომ 7 მუნიციპალიტეტში³ 1,922.1 ათასი ლარის დანახარები გაიცა შესაბამისი დასაბუთების გარეშე. აღსანიშნავია, რომ აქედან, 2 მუნიციპალიტეტში დანახარები დანიშნული იყო წინასწარ, მთელი წლის განმავლობაში.

მაგალითად:

- 2016-2017 წლებში, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში 1,146.2 ათასი ლარის დანახარების გაცემის დასაბუთება ფორმალურ ხასიათს ატარებდა. დანახარები გაიცემოდა ფაქტობრივად შრომის ანაზღაურების სახით, რაც არ შეესაბამება დანახარების გამოყოფის კანონმდებლობით განსაზღვრულ საფუძვლებს;
- 2015-2016 წლებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებებით, მოსამსახურეებზე დანახარების სახით გაცემულია 587.3 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტში ყოველთვიური დანახარები დანესებული იყო წინასწარ, ობიექტური დასაბუთების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან დანახარების გაცემა დარეგულირდა საქართველოს კანონით „საჯარო დანესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“. შესაბამისად, საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციაა, მუნიციპალიტეტებმა დანახარების გაცემისას იხელმძღვანელონ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებით.

1.2 საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის საქმიანობა.⁴ საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე კანონმდებლობა ითვალისწინებს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურებას. ამასთანავე, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებლად უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3 თიანეთის, კასპის, რუსთავის, ოზურგეთის, ნალენჯიხის, ქუთაისის და ფოთის მუნიციპალიტეტები.

4 „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41, პუნქტი 1.



მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობით ორგანოებს, როგორც წესი, მიღებული აქვთ ნორმატიული აქტი, რომლითაც დადგენილია საკრებულოს წევრებისათვის ასანაზღაურებელი თანხების ზღვრული ოდენობა. არსებული პრაქტიკით, საკრებულოს წევრებზე, რომლებიც არ არიან თანამდებობის პირები, თანხები სრულად გაიცემა დადგენილებით განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში. ჩატარებული შესაბამისობის აუდიტებით გამოვლინდა, რომ ყველა შემოწმებულმა მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებზე ისე გასწია 6,552.5 ათასი ლარის ხარჯი, რომ შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი არ არის. აღნიშნული ხარვეზი ფიქსირდება ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა პრობლემის აღმოფხვრის მიზნით გასცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვით მუნიციპალიტეტის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის და პრაქტიკის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. აღსანიშნავია, რომ მითითებულ დარღვევაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიუთითებდა არა მხოლოდ 2018-2019 წლებში, არამედ წინა წლებში განხორციელებული აუდიტების ანგარიშებშიც. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა, რომ მიუხედავად არაერთხელ გაცემული რეკომენდაციისა, არც ერთ მუნიციპალიტეტს სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

შეუსაბამობის გასწორებისა და ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოსაყალიბებლად მიზანშეწონილია, რომ საკითხი დარეგულირდეს საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის ჩართულობით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად.

1.3 წარმომადგენლობითი ხარჯი

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, წარმომადგენლობითი ხარჯები გულისხმობს მიღებისა და ოფიციალური სადილის, წვეულების, საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიების, სუვენირების შეძენის/დამზადების და სხვა დანარჩენ წარმომადგენლობით ხარჯებს. კანონმდებლობით კონკრეტულად არ არის განსაზღვრული აღნიშნული ხარჯების გაწვევის პროცედურა და მასთან დაკავშირებული პირველადი დოკუმენტაციის შედგენის წესი. მიუხედავად ამისა, საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯვის ვალდებულებიდან გამომდინარე, წარმომადგენლობითი ხარჯების მიზანშეწონილობა უნდა იყოს დოკუმენტურად სათანადოდ დასაბუთებული.

ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტების მიერ არ არის შემუშავებული შიდა ინსტრუქცია/წესი, რომლის საფუძველზეც განხორციელდებოდა წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევა. შემოწმებული მუნიციპალიტეტებიდან 14 თვითმმართველ ერთეულში⁵ კვების/სარესტორნო მომსახურებაზე 749 ათას ლარზე მეტი დაიხარჯა. აღსანიშნავია, რომ ხარჯების ანაზღაურების მიზნით შედგენილი დოკუმენტაცია არ მოიცავს იმ ინფორმაციასა და მონაცემებს, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა ღონისძიების საჭიროებისა და დაფინანსების მიზანშეწონილობის შეფასება.

5 თიანეთის, მესტიის, მცხეთის, ჩხორონწყუს, ქუთაისის, მარნეულის, ჭიათურის, ბაღდათის, წალკის, საჩხერის, ახმეტის, თერჯოლის, ხონის და ხარაგაულის მუნიციპალიტეტები.



მაგალითად:

- 2015-2016 წლებში ქუთაისის მერიამ სარესტორნო მომსახურების შესყიდვაზე დახარჯა 156.6 ათასი ლარი. ანგარიშსწორება განხორციელებულია მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, სადაც მითითებულია მხოლოდ შესყიდული მომსახურების ჯამური ღირებულება. დამატებითი დოკუმენტური ინფორმაცია, რა ტიპის ღონისძიებები გაიმართა, ვინ იყვნენ მოწვეული სტუმრები და კონკრეტულად რა მომსახურება შეიძინა მერიამ, ვერ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, თანხა ანაზღაურებულია სათანადო დოკუმენტური დასაბუთების გარეშე;
- 2016-2017 წლებში ახმეტის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ხარჯის მუხლიდან გაწეულ ხარჯებზე ვერ დგინდება ჩატარებული ღონისძიებების დასახელება, სტუმრობის მიზანი, სტუმრებისა და მასპინძლების ოდენობა და სხვა მონაცემები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული 44 ათასი ლარის წარმომადგენლობითი ხარჯის მიზანშეწონილობა დოკუმენტურად არ არის დასაბუთებული.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მითითებული პრობლემა ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ წინა პერიოდის ანგარიშებშიც. სამსახურმა მუნიციპალიტეტების საკრებულოებს მისცა რეკომენდაცია, წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსების დასარეგულირებლად შესაბამისი წესის შემუშავებასთან დაკავშირებით. აღნიშნული წესით უნდა განისაზღვროს სტუმრების კატეგორია, მიზანი, მიღების ფორმა, გამასპინძლების ეტიკეტი, ანგარიშსწორებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და კონტროლის სხვა მექანიზმები, რაც ხარჯებს გამჭვირვალეს და შედეგზე ორიენტირებულს გახდის. მიუხედავად გაცემული რეკომენდაციებისა, პრობლემა მოუგვარებელი რჩება მუნიციპალიტეტების ნაწილში. გასათვალისწინებელია, რომ ამ ტიპის ხარჯების მიმართ არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, რაც საკითხის დარეგულირებას კიდევ უფრო აქტუალურს ხდის.

1.4 მიზლინება

მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, მოსამსახურე შესაძლებელია მივლინებულ იქნეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ, იქ არსებული პრაქტიკის გასაცნობად. მივლინების მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ პირმა მივლინებაში ყოფნის პერიოდში მიღებული ცოდნა და გამოცდილება ანგარიშის სახით წარმოადგინოს მუნიციპალიტეტში და გაუზიაროს სხვა დასაქმებულებს. ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მივლინების მიმდინარეობის, შესრულებული სამუშაოებისა და მიღწეული შედეგების შესახებ. საბოლოოდ, კონკრეტული პირების მივლინების შედეგებით მიღებული ცოდნა და გამოცდილება უნდა გამოიყენებოდეს მუნიციპალიტეტის საქმიანობასა და მისი მიზნების მიღწევის პროცესში.

შემონშეული მუნიციპალიტეტებიდან 5 მათგანში⁶ საჯარო მოხელეების ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებებში დაიხარჯა 400 ათას ლარზე მეტი. მივლინებული პირების მიერ არ არის მომზადებული ანგარიშები მივლინების მიმდინარეობის, შედეგებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

6 ქუთაისის, გორის, ბოლნისის, ახმეტის და თიანეთის მუნიციპალიტეტები.



მაგალითად:

- 2015-2016 წლებში ქუთაისის მერიის მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების საზღვარგარეთ მივლინებაზე დახარჯულია 249.6 ათასი ლარი. 160 პირი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებული იყო 73-ჯერ, თვეში საშუალოდ – 3-ჯერ. მერიამ ვერ წარმოადგინა სამივლინებო ანგარიშები და დოკუმენტური დასაბუთება მივლინებების მიზანშეწონილობის შესახებ;
- 2017-2018 წლებში გორის მუნიციპალიტეტის მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივ მივლინებაზე დახარჯულია 73.3 ათასი ლარი. მივლინებაში იმყოფებოდა 42 პირი, 35 მივლინების ფარგლებში, რომელთაც მივლინების შედეგების შესახებ ინფორმაცია არ მოუმზადებიათ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გასცა რეკომენდაცია, რომ მუნიციპალიტეტებში სამართლებრივი აქტით განისაზღვროს საჯარო მოხელის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების ფორმა და მიზნები, რომელიც შეესაბამება მუნიციპალიტეტის საჭიროებებს. ასევე მივლინებულ პირს უნდა ევალებოდეს ანგარიშის წარმოდგენა მივლინების შედეგების შესახებ. ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მივლინების მიმდინარეობის, მიღწეული მიზნებისა და შედეგების შეფასების შესახებ. აღნიშნული უზრუნველყოფს მივლინებაში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას საჯარო დაწესებულებაში.

მიზანშეწონილია, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ჩართულობით შემუშავდეს საჯარო მოსამსახურეების ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინების ზოგადი წესი, რაც ხელს შეუწყობს პროცესის მიმართ ერთგვაროვანი მიდგომების ჩამოყალიბებას.

1.5 დამატებითი უფლებამოსილების დაფინანსება საკუთარი შემოსავლებიდან

მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებების დელეგირება სახელმწიფოს მხრიდან შეიძლება სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფო მუნიციპალიტეტს გადასცემს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ვეტერანთა და ლტოლვილთა მომსახურების უფლებების ნაწილს და აფინანსებს განეულ ხარჯებს.

მუნიციპალიტეტებში დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა ხშირ შემთხვევაში ვერ ფარავს ტრანსფერით განსაზღვრული ღონისძიებების დანახარჯებს. შედეგად, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტს, როგორც წესი, უწევს განეული ხარჯების საკუთარი შემოსავლებიდან შევსება.



მაგალითად:

- 2017-2018 წლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის სახით მიიღო 707.0 ათასი ლარი. გარდა მიზნობრივი ტრანსფერისა, მუნიციპალიტეტმა გამოიყენა საკუთარი ფინანსური რესურსი და დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსების მიზნით დამატებით დახარჯა 531.2 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა გამოყენებულია სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურისა და ვეტერანთა სოციალური დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად;
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 2017-2018 წლებში დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მიზნობრივი ტრანსფერის სახით გამოეყო 276.0 ათასი ლარი. გარდა მიღებული თანხისა, მუნიციპალიტეტმა დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსებისათვის გამოიყენა საკუთარი ფინანსური რესურსი – 150.1 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ძირითადად გამოყენებულია შრომის ანაზღაურების, ოფისის, საწვავის, მივლინების და სხვადასხვა ხარჯის დაფინანსების მიზნით.

პროცესის დარეგულირებისათვის მნიშვნელოვანია მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფისა და განაწილების საკითხის შესწავლა საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის ჩართულობით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, რათა სახელმწიფოსა და თვითმმართველობების ინტერესები შესაფერისად იყოს დაცული.

1.6 სახელმწიფო საშუალებების რისკოვნობა და საწვავის ხარჯები

სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილება და კლასიფიკაცია რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.⁷ ვინაიდან სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ნორმები ეფუძნება საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვის პრინციპებს, მუნიციპალიტეტებს ეთხოვათ, დადგენილებით განსაზღვრული პრინციპების დაცვით შეემუშავებინათ მუნიციპალური ავტოპარკის გამოყენების წესი.

დადგენილების შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში ავტომანქანების ზღვრული ოდენობა ფიქსირებულია და დამოკიდებულია მოსამსახურეების საშტატო რიცხოვნობაზე. მიუხედავად ამისა, ავტოსატრანსპორტო საშუალებების რიცხოვნობის, მათ ექსპლოატაციასა და საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებული ხარჯების არასწორი რეგულირება, თვითმმართველობებისთვის სისტემური ხასიათის პრობლემაა, კერძოდ:

- საქართველოს მთავრობის დადგენილება თვითმმართველობებისათვის სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, თუმცა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი შესრულება. შემოწმებული მუნიციპალიტეტების უმრავლესობამ ვერ წარმოადგინა „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის“ შესაბამისად მიღებული სამართლებრივი აქტი;

⁷ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“.



- სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად 22 მუნიციპალიტეტში⁸ გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა მთავრობის დადგენილებით რეკომენდებულ ზღვრულ ნორმას. გარდა ამისა, სამორიგეო ავტომობილებთან ერთად მუნიციპალიტეტები სანავის გამოყოფდნენ დასაქმებულების საკუთრებაში არსებული ავტომანქანებისათვის, რაც არსებითად ზრდიდა საბიუჯეტო ხარჯებს.

საბიუჯეტო ორგანიზაციებში დანერგილია პრაქტიკა, რომლის მიხედვით სანავის ხარჯის კონტროლი ხორციელდება აგაი სისტემის⁹ მეშვეობით. აღნიშნული სისტემით სანავი გამოიყენება მხოლოდ ავტორიზებულ ავტომანქანებზე, დაწესებული ლიმიტების შესაბამისად და მინიმუმამდეა დაყვანილი არარაციონალური ხარჯის რისკები. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018-2019 წლებში განხორციელებული აუდიტების შესაბამისად, მუნიციპალიტეტებში სანავის ხარჯის პროცესი ასევე მნიშვნელოვანი სისტემური ხარვეზებით მიმდინარეობს, კერძოდ:

- ავტოსატრანსპორტო საშუალებებში ერთჯერადად ან დროის მცირე მონაკვეთში დოკუმენტურად არაერთგზის ჩასხმულია ავტომობილის ავზის მოცულობაზე არსებითად მეტი ოდენობის სანავი. აღნიშნული შეუსაბამობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აგაი სისტემით აღჭურვილი ავტომანქანის კუთვნილი სანავით იმართება სხვა არასამსახურებრივი დანიშნულების ტრანსპორტი;
- სანავი გახარჯულია მუნიციპალიტეტში დასაქმებული პირების შვებულებაში ყოფნის დროს, მათ შორის, პირად საკუთრებაში მყოფ ავტომობილებში, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებაში მყოფი პირების სარგებლობაში არსებულ მანქანებზე;
- ავტომობილებში სანავი ჩასხმულია საქართველოს სხვადასხვა ქალაქში არსებულ ავტოგასამართ სადგურებში, რაც სავარაუდოდ არ უკავშირდება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას.

მაგალითად:

- დუშეთის მუნიციპალიტეტში 2017-2018 წლებში 13 შემთხვევაში, სულ 6 ავტომობილში, რომელთა ავზების მოცულობა 55-60 ლიტრია, ერთჯერადად დოკუმენტურად ჩასხმულია 100-110 ლიტრი სანავი, ხოლო 20 შემთხვევაში, სულ 5 ავტომობილში, ერთი დღის განმავლობაში (მათ შორის, დროის მცირე ინტერვალში) დაფიქსირდა სანავის რამდენჯერმე ჩასხმა. ჩასხმული სანავის მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება ავზის მოცულობას;
- მარნეულის მუნიციპალიტეტში 2017-2018 წლებში 9 ტონამდე სანავია გახარჯული თანამშრომლების შვებულებაში ყოფნის დროს. ასევე 2017 წელს სანავი არაერთგზის ჩაისხა მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ ერთ-ერთ ავტომანქანაში, რომლით მოსარგებლაც იმ დროისათვის მივლინებით იმყოფებოდა საზღვარგარეთ;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტში 2017-2018 წლებში 350-ზე მეტ შემთხვევაში, საჯარო მოსამსახურეებმა 13 ტონაზე მეტი სანავი ჩაისხეს სხვადასხვა მიმართულებით გადაადგილებისას, რომლებიც არ უკავშირდება სამსახურში გამოცხადებას ან მივლინებას.

8 თიანეთის, გუგდიდის, სამტრედიის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ცაგერის, მცხეთის, გორის, ქობულეთის, ქუთაისის, ტყიბულის, მარნეულის, ბაღდათის, საგარეჯოს, წალკის, ახმეტის, თერჯოლის, ასპინძის, წალენჯიხის, ბოლნისის, ლაგოდეხის და რუსთავის მუნიციპალიტეტები.

9 ავტომანქანის გამართვის და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა.



საწვავის რაციონალური ხარჯვის მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 25 მუნიციპალიტეტს მისცა რეკომენდაცია შეემუშავებინა საქართველოს მთავრობის შესაბამის დადგენილებასთან თავსებადი წესი, სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, საწვავის ხარჯვის, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის შესახებ. 21-მა მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინა ან დაიწყო ღონისძიებების განხორციელება აღნიშნული საკითხის დარეგულირების მიზნით. კერძოდ, საწვავის ლიმიტი გამოიყოფა მხოლოდ თანამდებობის პირებზე, მიმდინარეობს ბალანსზე რიცხული ზოგიერთი ავტომობილის სარეალიზაციოდ მომზადება, დაწყებულია მუშაობა ავტოპარკის გადანაწილების წესის მიღებაზე და ა.შ., თუმცა წარმოდგენილი ინფორმაციების მიხედვით, განხორციელებული ქმედებები არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად არასაკმარისია.

მიზანშეწონილია, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის ჩართულობით, სახელმწიფო გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს შორის გაიმართოს კონსულტაციები საქართველოს მთავრობის რეკომენდაციის შეუსრულებლობის მიზეზების დადგენისა და ავტოპარკის მართვის საკითხებთან დაკავშირებით ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით.



2. ინფრასტრუქტურის მუდგობა, ჩაბარება, აქსერტუა

მუნიციპალიტეტების ეკონომიკური და ურბანული განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული საკითხი ადგილობრივი თვითმმართველობების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურისა და შენობა-ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ასევე ფინანსდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. შემოწმებულ მუნიციპალიტეტებში, პროგრამის ფარგლებში განეული საქმიანობის აუდიტის შედეგად, გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

2.1 მოსახლეობის წყარომართების ნაკლოვანებები

ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა წყლის სისტემების რეაბილიტაცია და მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდება. აღნიშნული საკითხი პრიორიტეტულია მუნიციპალიტეტებისთვისაც. მიუხედავად ამისა, 2018-2019 წლებში ჩატარებული აუდიტებიდან გამოვლინდა, რომ 15 მუნიციპალიტეტში¹⁰ მოსახლეობის წყალმომარაგება მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხორციელდება, კერძოდ:

- წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე დახარჯულია არსებითი მოცულობის საბიუჯეტო რესურსი, თუმცა მუნიციპალიტეტების მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წყალისაერთოდ არ მიეწოდება ან მიეწოდება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი წყალი. აღნიშნული პრობლემა მეტწილად გამოწვეულია წყლის მიღების ან/და სათავე ნაგებობების დაზიანებით. ასევე შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, არ ხდება წყლის სათანადო დამუშავება. პრობლემა ატარებს სისტემურ ხასიათს;
- ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა, რომ 9 მუნიციპალიტეტში¹¹ 4 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების წყლის პროექტები დაუსრულებელია ან დაზიანებულია რეაბილიტაციის შემდეგ;
- წყლის სისტემების მოწყობისას უმრავლეს შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული აბონენტების გამრიცხველიანება, რაც იწვევს არათანაბარ განაწილებას და წყლის დეფიციტს;
- მუნიციპალიტეტებში წყლის სისტემას ემსახურებიან მუნიციპალური ა(ა)იპ-ები, რომელთაც უმრავლეს შემთხვევაში არ გააჩნიათ კანონმდებლობით¹² გათვალისწინებული ლიცენზიები.

10 ხელვაჩაურის, ქედის, მცხეთის, ჩხოროწყუს, ქობულეთის, ლენტეხის, მარნეულის, სიღნაღის, ჭიათურის, წალკის, დუშეთის, თერჯოლის, ონის, ხარაგაულის და გორის მუნიციპალიტეტები.

11 მცხეთის, საგარეჯოს, ხელვაჩაურის, ლენტეხის, სიღნაღის, ჭიათურის, ონის, გორის და მარნეულის მუნიციპალიტეტები.

12 საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 87.



მაგალითად:

- თერჯოლის მუნიციპალიტეტში 2017-2018 წლებში წყლის მომარაგების სისტემების მშენებლობასა და რეაბილიტაციაზე დაიხარჯა, დაახლოებით, 1,990.0 ათასი ლარი. წყლის სისტემა მოწყობილია ქალაქ თერჯოლასა და 32 სოფელში, ხოლო დანარჩენი 13 სოფლის მოსახლეობა სარგებლობს ჭებით და წყაროებით. მუნიციპალიტეტში (გარდა ქალაქ თერჯოლისა და სოფელ ღვანკითისა) არსებულ წყლის სისტემებზე, შესაბამისი ნაგებობების არარსებობის გამო, წყალი არ იწმინდება;
- ონის მუნიციპალიტეტის 15 სოფელში მოწყობილი სასმელი წყლის სათავე სისტემები საჭიროებს დამატებით ფილტრაციას. აღნიშნულის გამო წყალი პერიოდულად ბინძურდება. აუდიტის მიმდინარეობისას სოფელ უწერაში დაზიანებული იყო სასმელი წყლის შემკრები რეზერვუარის შიდა კედლები, რის გამოც სისტემა არ ფუნქციონირებდა. ობიექტის რეაბილიტაციაზე დახარჯულია 168.3 ათასი ლარი;
- ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ საკურნეში განხორციელდა სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მშენებლობა. წყლის მიღების ნაწილი მოეწყო გარკვეულ უბნებში, თუმცა სათავე ნაგებობაზე არ დაერთებულა. ამასთანავე, მიღების დარჩენილი ნაწილი გამოუყენებელი და დასაწყობებულია. ასევე არ არის გამოყენებული სხვა 10 სოფლისათვის შესყიდული 43.1 ათასი ლარის ღირებულების მასალები. მუნიციპალიტეტმა წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე დახარჯა 155.3 ათასი ლარი, რომელიც არ ფუნქციონირებს და მოსახლეობას წყალი არ მიეწოდება.

მუნიციპალიტეტებში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემები. ამ მიმართულებით ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები არ არის საკმარისი. მუნიციპალიტეტების მიერ აღნიშნული საკითხი ზოგ შემთხვევაში არ არის მიჩნეული პრიორიტეტად და ანგარიშზე არსებული არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთების მიუხედავად, მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ქმედითი ღონისძიებები არ გატარებულა. მუნიციპალიტეტებს მიეცათ რეკომენდაცია, რომ დაგეგმონ და განახორციელონ კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს წყალმომარაგების მოწესრიგებას და წყლის ხარისხის შემოწმებას. ამასთანავე, ღონისძიებათა გეგმა უნდა ითვალისწინებდეს როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნულმა ღონისძიებებმა ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

2.2 უხაჩისოვ უსაჩუბელი ინფრასტრუქტურული პროექტები

მუნიციპალური სერვისების მიწოდების გასაუმჯობესებლად თვითმმართველობების საბიუჯეტო ასიგნებების ძირითადი ნაწილი იხარჯება ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. აღნიშნული კაპიტალური ხარჯები თავისი არსით გრძელვადიანი პროექტებია, რომლებიც სწორი ექსპლოატაციის პირობებში ხანგრძლივი ვადით უნდა გამოიყენებოდეს.

მუნიციპალიტეტებმა ვერ დანერგეს კონტროლის სათანადო პროცედურები და პროცესები ვერ წარმართეს იმგვარად, რომ არ მიეღოთ უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები. 2018-2019 წლებში ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა, რომ კაპიტალური პროექტებით შესრულებული სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი დასრულებიდან მოკლე პერიოდში დაზიანებულია.



მაგალითად:

- ქალაქ ქუთაისის მერიამ სოციალური საცხოვრისის მშენებლობის პროცესი წარმართა ისე, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და მოცულობის დასადგენად რაიმე სახის კონტროლი არ განუხორციელებია. შედეგად, სამუშაოები შესრულდა უხარისხოდ, შენობა ვერ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს და მოსახლეობისთვის არ არის შექმნილი შესაბამისი საცხოვრებელი პირობები. ამასთანავე, სოციალური საცხოვრისი, რომელშიც მერიამ 4.3 მილიონი ლარი დახარჯა, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით 2.3 მილიონ ლარად შეფასდა;
- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში არსებულმა კონტროლის მექანიზმებმა ვერ უზრუნველყო სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისი სამუშაოების მიღება-ჩაბარება და არსებული დაზიანებების გამოვლენა. შედეგად, მალთაყვის სანაპირო ზოლის მონყოფისა და ქალაქის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაშიც გადახდილია 5.48 მლნ ლარი, შესრულებულია უხარისხოდ. ობიექტები მნიშვნელოვნად არის დაზიანებული და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. აღნიშნულის გამო ასევე მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა მოსახლეობის ქონებას და მათ ინტერესებს.

პროექტებით გათვალისწინებული ობიექტების დაზიანება ძირითადად გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

- მშენებლობის წარმოება არასათანადოდ შედგენილი საპროექტო დოკუმენტაციით;
- მიმწოდებლების მიერ სამუშაო პროცესების არათანმიმდევრულადწარმართვა, უხარისხო მასალების გამოყენება, სახარჯთაღრიცხვო პარამეტრების დარღვევა და ა.შ.;
- მუნიციპალიტეტების მიერ სამუშაოების შესრულების ზედამხედველობისა და მიღება-ჩაბარების პროცესში დანერგილი კონტროლის სუსტი მექანიზმები;
- არასათანადო მონიტორინგი და მოვლა-პატრონობა.

აღსანიშნავია, რომ მიმწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, როგორც წესი, გათვალისწინებულია შესრულებული სამუშაოების ხარისხის გარანტია. კერძოდ, სამუშაოების ჩაბარებიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ხარვეზები. აუდიტორული შემოწმებებით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტებმა ხშირ შემთხვევაში დროულად არ მიმართეს მიმწოდებელ ორგანიზაციას, არ გამოიყენეს ხელშეკრულებით განსაზღვრული გარანტირების მექანიზმები და არ გაატარეს სათანადო ღონისძიებები ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული აუდიტების შედეგად 2018-2019 წლებში 39 მუნიციპალიტეტში¹³ გამოვლინდა 24,503.4 ათასი ლარის საერთო ღირებულების დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები. მუნიციპალიტეტების მიერ დამატებითი კონტროლის მექანიზმების დანერგვასთან დაკავშირებით სამსახურმა გასცა რეკომენდაციები, რომლებიც უზრუნველყოფს ხარისხიანი სამუშაოების ჩაბარებას, ხელშეკრულებით

13 თიანეთის, კასპის, ხობის, ზუგდიდის, თბილისის, სამტრედიის, ოზურგეთის, წალენჯიხის, ჩოხატაურის, აბაშის, ცაგერის, მცხეთის, ჩხოროწყუს, გორის, ქობულეთის, ლანჩხუთის, ქუთაისის, ფოთის, ბოლნისის, ლენტეხის, ტყიბულის, ხულოს, ხელვაჩაურის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ჭიათურის, ბაღდათის, საგარეჯოს, წყალტუბოს, წალკის, დუშეთის, სენაკის, საჩხერის, თერჯოლის, ონის, ამბროლაურის, ხონის, ხარაგაულის და ასპინძის მუნიციპალიტეტები.



განსაზღვრულ საგარანტიო ვადაში დაზიანებული ობიექტების დროულ გამოვლენას და შესაბამის რეაგირებას. მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციების მიხედვით, 8,920.7 ათასი ლარის სამუშაოებზე (36%) არსებული ხარვეზები უკვე აღმოფხვრილია, ხოლო 6,041.8 ათასი ლარის სამუშაოებზე მუნიციპალიტეტები ახორციელებენ ღონისძიებებს დაზიანების გამოსასწორებლად. მუნიციპალიტეტების აქტივობები დარჩენილ სამუშაოებზე არასაკმარისია.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტები, როგორც წესი, ითხოვენ შესრულებული სამუშაოების ხარისხის საექსპერტო დადასტურებას, რაც კონტროლის მნიშვნელოვანი მექანიზმია ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების პროცესში. მიუხედავად ამისა, არასათანადო მართვის გამო, აღნიშნულმა მიდგომამ ვერ უზრუნველყო უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების მიღების თავიდან აცილება.

ექსპერტიზის პროცესის ნაკლოვანებები გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

- საექსპერტო დანესებულებების, მათ შორის, მუნიციპალიტეტის მიერ დაქირავებული საზედამხებდველო კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ზოგიერთ შემთხვევაში შესრულებულია არაჯეროვნად და დადებითი დასკვნის მიუხედავად, სამუშაოები შესრულებულია უხარისხოდ;
- მუნიციპალიტეტების მიერ ექსპერტიზის პირობები არ არის სათანადოდ განსაზღვრული;
- ექსპერტიზა ჩატარებულია არააკრედიტებული საექსპერტო კომპანიების მიერ;
- ექსპერტიზის ჩატარების პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი რწმუნების მიღებას სამუშაოების ხარისხის და მოცულობის შესახებ. კერძოდ, ექსპერტიზის დასკვნა გაცემულია ვიზუალური დათვალიერებით და არ მოიცავს გამოყენებული მასალების ხარისხისა და ფარული სამუშაოების შეფასებას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მუნიციპალიტეტებს მისცა რეკომენდაცია, რომ დანერგონ სამუშაოების მიღებისა და ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაო და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები.

ქვეყნის მასშტაბით ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად მიზანშეწონილია, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი დარგობრივი კომიტეტის ჩართულობით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მუნიციპალიტეტებთან კო-მუნიკაციის გზით შეიმუშაოს კონკრეტული რეკომენდაციები და ინსტრუქციები პრობლემის გადასაჭრელად.

2.3 დაუსრულებელი პროექტები


შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში მუნიციპალიტეტი ვალდებულია ინფრასტრუქტურული პროექტები შეარჩიოს პრიორიტეტების მიხედვით. ამასთანავე, მშენებლობის პროცესი უნდა დაიგეგმოს და განახორციელოს იმგვარად, რომ სამუშაოები დასრულდეს დადგენილ ვადაში და დროულად დადგეს პროექტით განსაზღვრული შედეგი.



2018-2019 წლებში ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა, რომ 27 მუნიციპალიტეტის¹⁴ მიერ განხორციელებული 10,229.9 ათასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები დაუსრულებელია. შესწავლის შედეგად გამოიკვეთა სამი ძირითადი გარემოება, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობისათვის სხვადასხვა მუნიციპალური სერვისის ხელმისაწვდომი არ არის ან დაგვიანებით მიენოდება, კერძოდ:

- პროექტების დაუსრულებლობას იწვევს ფინანსური რესურსების არასწორი გადანაწილება – მუნიციპალიტეტი იწყებს მრავალწლიანი პროექტის განხორციელებას და მომდევნო წლების გადასახდელებით პროექტს არ აგრძელებს;
- პროექტების დაუსრულებლობის მიზეზი ორგანიზაციული პრობლემებია – მუნიციპალიტეტი იძენს სხვადასხვა დასახელების სამშენებლო მასალას, მომავალში პროექტებში გამოყენების მიზნით. აღნიშნული მასალები ზოგჯერ წლობითაა დასაწყობებული და გამოუყენებელი;
- პროექტების განხორციელება გვიანდება, რადგან პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესს ახლავს ნაკლოვანებები – მუნიციპალიტეტი ყიდულობს ინფრასტრუქტურული ობიექტების საპროექტო-საბარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, შემდეგ ცვლის პრიორიტეტებს და აქტივს მომავალში აღარ იყენებს.

დიაგრამა 2. დაუსრულებელი პროექტები (ათასი ლარი)



აუდიტის განხორციელებისას მუნიციპალიტეტებს მიეცათ რეკომენდაციები, რომ ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაიგეგმოს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რითაც შესაძლოა ხელი შეეშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას; კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა შეისწავლოს მის ხელთ არსებული ფინანსური და მატერიალური რესურსები და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია პროექტის

¹⁴ დუშეთის, სენაკის, საჩხერის, გორის, ქუთაისის, ბოლნისის, ტყიბულის, ონის, ჩოხატაურის, ცაგერის, მცხეთის, სამტრედიის, თიანეთის, კასპის, ხობის, სიღნაღის, ჭიათურის, ბაღდათის, თბილისის, საგარეჯოს, წყალტუბოს, ბათუმის, ხელვაჩაურის, ლანჩხუთის, თერჯოლის, ჩხოროწყუს და ოზურგეთის მუნიციპალიტეტები.



განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა; ასევე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრები მიმართული უნდა იქნეს, მათ შორის, დაუსრულებელი პროექტების გასაგრძელებლად.

წარმოდგენილი ინფორმაციების მიხედვით, მუნიციპალიტეტებმა დაასრულეს 3,785.5 ათასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები; გამოყენებულია მოსახლეობისათვის გადაცემული 543.2 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო მასალა; 50.8 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით დაიწყო სხვადასხვა პროექტის განხორციელება.

2.4 მიწოდების პარამეტრების დასაბუთებადი სწილაკები

ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა, რომ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მიმწოდებლები ხშირ შემთხვევაში არღვევდნენ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებს. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტები ნაცვლად საჭარიმო სანქციების გავრცელებისა, დაუსაბუთებლად ზრდიდნენ მიწოდების ვადებს. კორექტირების ძირითად მიზეზებად დასახელებულია: ნალექიანი დღეები, ხარჯთაღრიცხვებში განხორციელებული ცვლილება, ორგანიზაციული პრობლემები და სხვ. საკითხის შესწავლისას გამოვლინდა, რომ აღნიშნული გარემოებები უმეტეს შემთხვევაში არ წარმოადგენს ვადის გაგრძელების ობიექტურ საფუძველს და ვადაგადაცილება რეალურად განპირობებულია სუბიექტური ფაქტორებით, როგორიცაა:

- სამუშაოების დაწყება დაგვიანებით;
- მიმწოდებელი საწარმოების არასაკმარისი ფინანსური რესურსები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვ.

მიწოდების ვადების გაზრდით, მოსახლეობა დაგეგმილ დროში ვერ სარგებლობს შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტებით, ხოლო მუნიციპალიტეტები, თავის მხრივ, კარგავენ საჭარიმო თანხების მიღების შესაძლებლობას. დაუსაბუთებლად ვადის გაზრდა დაფიქსირდა 17 მუნიციპალიტეტში¹⁵ და მოსახლეობას დაგვიანებით მიეწოდა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორებიცაა: საბავშვო ბაღი, სხვადასხვა სპორტული და კულტურული ობიექტები, საგზაო ინფრასტრუქტურა და სხვ. საჭარიმო სანქციების სახით დაურიცხავმა და მიუღებელმა შემოსავალმა კი 1.2 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

მაგალითად:

- 2016 წელს, კასპის მუნიციპალიტეტმა 2 ხელშეკრულების ფარგლებში სამუშაოების დასრულების ვადები სუბიექტური მიზეზებით, დაუსაბუთებლად გაზარდა 2-3 თვით. ცვლილების მიზეზად დასახელებულია ნალექიანი დღეები, სახარჯთაღრიცხვო ცვლილებები და სხვა ტექნიკური მიზეზები, თუმცა ნალექიანი დღეების რაოდენობა სამშენებლო პერიოდში ნორმის ფარგლებში იყო, სახარჯთაღრიცხვო ცვლილებები განხორციელდა გაუთვალისწინებელი სამუშაოებისა და სამშენებლო ეკონომიის ხარჯზე და ხელშეკრულების ღირებულება არ გაზრდილა. შესაბამისად, აღნიშნული მიზეზებით მიწოდების ვადის გაზრდა ვერ ჩაითვლება ობიექტურ გარემოებად. მიწოდების ვადის უცვლელობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაერიცხებოდა 263 ათასი ლარის საჭარიმო სანქცია;

15 წალკის, სენაკის, ამბროლაურის, ქუთაისის, ბოლნისის, ლენტეხის, ტყიბულის, თერჯოლის, ონის, ხარაგაულის, სამტრედიის, კასპის, ხობის, ჭიათურის, შუახევის, ზუგდიდის და მესტიის მუნიციპალიტეტები.



- 2016-2017 წლებში ტყიბულის მუნიციპალიტეტმა 3 ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდების ვადები არაობიექტური მიზეზებით გაზარდა 9-დან 12 თვემდე და არ დაარიცხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო. ვადის გადანევის მიზეზად დასახელებულია უამინდობა, პარალელურად მიმდინარე სხვა სამუშაოები ან ხარჯთაღრიცხვის კორექტირება, რაც გარემოების შესწავლით არ დადასტურდა. მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული არაობიექტური გადაწყვეტილებების შედეგად, სამუშაოები დასრულდა რამდენიმე თვის დაგვიანებით, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტში არ არის მიმართული დასარიცხი პირგასამტეხლო – 120 ათას ლარზე მეტი ოდენობით;
- 2017 წელს შუახევის მუნიციპალიტეტმა ჯამში 300 დღეზე მეტი ხნით დაუსაბუთებლად გააგრძელა ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდების ვადა და არ გამოიყენა საჯარიმო სანქცია. ცვლილების მიზეზად დასახელებულია უამინდობა და ხე-ტყის ჭრის ნებართვის არქონა. აღსანიშნავია, რომ სამუშაოების მიმდინარეობისას უჩვეულო უამინდობა არ ყოფილა, ხოლო ხე-ტყის ჭრის ნებართვის არარსებობა ხელს არ უშლიდა სხვა მიმართულებებით სამუშაოების შესრულებას. ამასთანავე, ნებართვის ასაღებად მუნიციპალიტეტს საკმარისი დროის რესურსი ჰქონდა. ვადის გაუგრძელებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაერიცხებოდა პირგასამტეხლო 7.5 ათასი ლარის ოდენობით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა რეკომენდაციები, რომ მუნიციპალიტეტებმა შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების ცვლილება არ განახორციელონ დაუსაბუთებელი გარემოებებით და გაითვალისწინონ მხოლოდ ობიექტური და ფორსმაჟორული საფუძვლების არსებობა. სხვა შემთხვევაში ვადებისა და სხვა პირობების დარღვევისათვის გაავრცელონ ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. მიღებული ინფორმაციების საფუძველზე, მუნიციპალიტეტები ხელშეკრულებების პირობებს ცვლიან მხოლოდ ობიექტური გარემოებების გამო.

2.5 ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციების გამოყენების ხანკეზი

შესყიდვის მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით, როგორც წესი, განსაზღვრულია სამუშაოების მიწოდების გეგმა-გრაფიკი, საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულების შეწყვეტის წესი და სხვ. მუნიციპალიტეტების აღმასრულებელმა ორგანოებმა ხელშეკრულებების მართვის პროცესი უნდა წარმართონ იმგვარად, რომ არ დაუშვან მათი პირობების გაუარესება და დროულად მიიღონ შესყიდვით დაგეგმილი პროდუქტი. 2018-2019 წლებში ჩატარებული აუდიტებით გამოვლინდა სხვადასხვა დარღვევა-ნაკლოვანება, რაც ხელშეკრულებების პირობების არასათანადოდ ფორმირებას და საჯარიმო სანქციების ადმინისტრირებას უკავშირდება, კერძოდ:

- ოთხმა მუნიციპალიტეტმა¹⁶ ხელშეკრულებებით ზოგ შემთხვევაში არ განსაზღვრა საჯარიმო სანქცია გეგმა-გრაფიკის დარღვევისთვის ან სამუშაოების არაჯეროვნად შესრულებისთვის. შესაბამისად, მუნიციპალიტეტები დარჩნენ შესაბამისი დამცავი მექანიზმის გარეშე და ვერ უზრუნველყვეს სამუშაოების დროული და სათანადო შესრულება, ასევე ვერ მიიღეს შესაბამისი შემოსავლები;

16 წალკის, აბაშის, ზუგდიდისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტები.



- 18 მუნიციპალიტეტში¹⁷ დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მერიამ/გამგეობამ ნაკლები თანხით დააჭარიმა ან საერთოდ არ დააჭარიმა მიმწოდებლები. შედეგად, ბიუჯეტში მიუღებელმა შემოსავლებმა 3 მილიონ ლარს გადააჭარბა;
- ექვსმა მუნიციპალიტეტმა¹⁸ გამოიყენა საჭარიმო სანქციები ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის, თუმცა მიმწოდებლებმა ჯარიმები არ გადაიხადეს. აღმასრულებელმა ორგანოებმა სათანადო ღონისძიებები არ გაატარეს კუთვნილი თანხების მისაღებად და ადგილობრივმა ბიუჯეტებმა ვერ მიიღეს 1 (ერთი) მილიონ ლარზე მეტი შემოსავლები;
- 9 მუნიციპალიტეტმა¹⁹ შესყიდვის პროცესი წარმართა არასათანადოდ და ხელშეკრულების პირობებით გამოიყენა დაბალი განაკვეთის საჭარიმო სანქცია, რამაც ვერ უზრუნველყო სამუშაოების დაგვიანებით მიწოდების პრევენცია;
- 9 მუნიციპალიტეტმა²⁰ არ გამოიყენა ხელშეკრულებების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიები. შედეგად, ადგილობრივმა ბიუჯეტებმა ვერ მიიღეს 360 ათას ლარზე მეტი შემოსავალი.

ხელშეკრულებების შესრულების ადმინისტრირების პროცესში დაშვებულმა ხარვეზებმა ხელი შეუშალა ინფრასტრუქტურული პროექტების დროულ დასრულებას, რითაც ზიანი მიადგა მუნიციპალიტეტის ინტერესებს. გარდა ამისა, 2018-2019 წლებში მიმწოდებელზე დაურიცხავი, ამოუღებელი ჯარიმებისა და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის გამოუყენებლობის გამო, ადგილობრივმა ბიუჯეტებმა დაკარგა 4.7 მილიონ ლარზე მეტი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.

მუნიციპალიტეტებს მიეცათ შემდეგი რეკომენდაცია: ხელშეკრულების პირობები განსაზღვრონ იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული მისი, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესები. ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის დაადგინონ ადეკვატური საჭარიმო სანქციები, რომლებიც მოსალოდნელი ზიანის თანაზომიერი იქნება და უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტების მიწოდების დაგვიანების პრევენციას; ამასთანავე, მიმწოდებლებზე სრულად გაავრცელონ ხელშეკრულებით განსაზღვრული საჭარიმო სანქციები; ჩაატარონ გადაუხდელი ჯარიმების ინვენტარიზაცია და განახორციელონ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები კუთვნილი თანხების მისაღებად; დაურიცხავი და დარიცხული საჭარიმო თანხების ამოღების მიზნით მუნიციპალიტეტების მიერ გატარებული ღონისძიებები არასაკმარისია.

2.6 მუნიციპალიტეტების მიერ ანაზღაურებადი უზრუნველყოფის სამუშაოები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტებში ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა, რომ თვითმმართველობებში შექმნილი კონტროლის მექანიზმები ხშირ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას. შედეგად, 9 მუნიციპალიტეტში²¹

17 ნალკის, ამბროლაურის, ხონის, გორის, ლენტეხის, ჩოხატაურის, ცაგერის, მცხეთის, ჩხორონწყის, ხარაგაულის, სამტრედიის, ოზურგეთის, თიანეთის, რუსთავის, თბილისის, ზუგდიდის, მესტიისა და ხულოს მუნიციპალიტეტები.

18 ამბროლაურის, ხარაგაულის, ოზურგეთის, ხობის, ლაგოდეხისა და მესტიის მუნიციპალიტეტები.

19 ნალკის, დუშეთის, მცხეთის, კასპის, ხობის, ზუგდიდის, შუახევის, მესტიისა და ხონის მუნიციპალიტეტები.

20 ამბროლაურის, ხონის, ონის, ნალენჯიხის, ოზურგეთის, თიანეთის, სიღნაღის, ჭიათურისა და მესტიის მუნიციპალიტეტები.

21 ხობის, თიანეთის, რუსთავის, მარნეულის, მესტიის, ცაგერის, ხულოს, საჩხერისა და ახმეტის მუნიციპალიტეტები.



მიმწოდებლებს 600 ათას ლარზე მეტი თანხა აუნაზღაურდათ ფაქტობრივად შეუსრულებელი სამუშაოებისათვის.

მაგალითად:

- ცაგერის მუნიციპალიტეტმა 2015 წლის ნოემბერში შეისყიდა სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოები. მიმწოდებელს 2015-2017 წლებში მუნიციპალიტეტმა აუნაზღაურა 2,652.1 ათასი ლარი, მათ შორის, მიმწოდებელს დაუდასტურდა და ზედმეტად აუნაზღაურდა 257.1 ათასი ლარის შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულება;
- 2016 წელს თიანეთის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები ღირებულებით – 354.0 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტმა, მინიმუმ, 123 ათასი ლარი გადაიხადა შეუსრულებელ სამუშაოებში.

შესრულებული სამუშაოს აქტებში დაფიქსირებული მოცულობებისა და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 5 მუნიციპალიტეტს²² მისცა რეკომენდაცია, რომ დანერგონ მონიტორინგისა და კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმწოდებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის დროულად გამოვლენასა და მსგავსი მოვლენების თავიდან აცილებას. ასევე მუნიციპალიტეტებს შეუსრულებელი სამუშაოების ანაზღაურების კონკრეტულ ფაქტებზე უნდა დაედგინათ გამომწვევი მიზეზები და გაეტარებინათ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, ზოგიერთმა მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებს მოსთხოვა ანაზღაურებული შეუსრულებელი სამუშაოების განხორციელება. შედეგად, შესრულებულია 257.1 ათასი ლარის სამუშაოები. ამავე დროს საკითხს სწავლობენ სამართალდამცავი ორგანოები.

2.7 საშუალოდ სამუშაოების გააჩივებული წესით შესყიდვა

გამარტივებული შესყიდვის დროს სამუშაოს/საქონლის/მომსახურების ფასი დგინდება არაკონკურენტულ გარემოში, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოშობს საბუჟეტო თანხების არაეკონომიური ხარჯვის რისკს, ამიტომ მოქმედი კანონმდებლობით²³ მოთხოვნილია, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ ანაზღაურება განხორციელოს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით. ასევე დადგენილია ის მაქსიმალური მოგების ნორმა, რომელიც უნდა აუნაზღაურდეს მიმწოდებელს. აღნიშნული რეგულაციების დაცვა ხელს უწყობს საბუჟეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

2018-2019 წლებში ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტები სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვისას, ხშირ შემთხვევაში მიმწოდებლებზე თანხებს გასცემდნენ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით. კერძოდ, მიმწოდებლებზე სამუშაოების ღირებულება ანაზღაურებულია ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე. გამოვლინდა, რომ 14

22 რუსთავის, ცაგერის, ხულოს, საჩხერისა და ახმეტის მუნიციპალიტეტები.

23 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გვერდითი მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“.



მუნიციპალიტეტში²⁴ სათანადო დასაბუთების გარეშე გაცემულია ჯამურად 5,908.7 ათასი ლარი. აღნიშნული, თავის მხრივ, წარმოშობს თანხების ზედმეტად ანაზღაურების რისკს.

მაგალითად:

- 2017-2018 წლებში გორის მუნიციპალიტეტმა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის ფორმით გააფორმა 3 ხელშეკრულება, ღირებულებით – 1,448.6 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტი მიმწოდებლებთან ანგარიშსწორებას ახორციელებდა ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე, მხოლოდ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტების საფუძველზე. ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით, წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებებისა და მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებული ღირებულების შედარების შედეგად, მხოლოდ ერთი ხელშეკრულების ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ზედმეტად ანაზღაურდა 232 ათას ლარზე მეტი;
- 2017-2018 წლებში სიღნაღის მუნიციპალიტეტმა სამშენებლო სამუშაოები გამარტივებული გზით შესყიდა 25 ხელშეკრულების ფარგლებში და 1,116.4 ათასი ლარი ანაზღაურა ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის გარეშე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით 13 მუნიციპალიტეტში გასცა რეკომენდაციები, რომ მუნიციპალიტეტებმა შეიმუშაონ ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის წესი, ამასთანავე უკვე შესყიდულ სამშენებლო სამუშაოებზე გაატარონ სათანადო ღონისძიებები ზედმეტად გადახდილი თანხების გამოვლენისა და სათანადო რეაგირების განხორციელების მიზნით.

სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვისას ანგარიშსწორების პროცესში კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევა აქტუალური პრობლემა იყო ბოლო წლებში ჩატარებული აუდიტებისათვის და გამოვლინდა მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში. აუდიტის ანგარიშებში დარღვევის დაფიქსირების შემდეგ, მუნიციპალიტეტების ნაწილმა სამუშაოების ანგარიშსწორებისათვის მოითხოვა საექსპერტო დასკვნების წარმოდგენა, რომლითაც დადასტურდებოდა შესრულებული სამუშაოს აქტებში დაფიქსირებული დანახარჯების რეალურობა.

სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს ფაქტობრივი ხარჯების დათვლის პროცედურა და მის დასათვლელად წარსადგენი დოკუმენტაცია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, კონკრეტულად არ არის განსაზღვრული. ექსპერტიზის განმახორციელებელი ორგანიზაციები ხშირად ფაქტობრივი ხარჯების დასადასტურებლად მიმწოდებლებისგან არ ითხოვენ სასაქონლო ზედნადებს, ხელფასის უწყისებს, ტრანსპორტის ქირავნობის და სხვა დოკუმენტებს და დასკვნებს გასცემენ შესრულებული სამუშაოების ერთეული ფასების საბაზრო ფასებთან შედარების საფუძველზე, რაც არ იძლევა განუვლი დანახარჯების შესახებ რეალურ ინფორმაციას. შედეგად, ფაქტობრივი დანახარჯების გაუთვალისწინებლობით მნიშვნელოვანი ზიანი აღგება შემსყიდველი ორგანიზაციების ბიუჯეტებს.

მიზანშეწონილია, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის ჩართულობით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შეიმუშაოს კონკრეტული წესები და რეკომენდაციები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი იქნება სამუშაოებზე განუვლი ფაქტობრივი დანახარჯების გაანგარიშება, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული რეგულაციების მიხედვით. ამასთანავე, სასურველია დადგენილების მოთხოვნები აისახოს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში.

24 ზუგდიდის, ჩოხატაურის, გორის, ლანჩხუთის, ფოთის, ბოლნისის, ლენტეხის, ბათუმის, სიღნაღის, საგარეჯოს, დუშეთის, ახმეტის, ონის და ხონის მუნიციპალიტეტები.



3. მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ანასამართლად (ანაკომერციული) იურიდიული პირები

მუნიციპალიტეტები საკუთარი უფლებამოსილებების უკეთ განსახორციელებლად აფუძნებენ არასამართლად (ანაკომერციულ) იურიდიულ პირებს – ა(ა)იპ-ებს და შპს-ებს და აფინანსებენ ადგილობრივი ბიუჯეტიდან. მნიშვნელოვანია, რომ იურიდიული პირების შექმნის საფუძველი და საჭიროება სათანადოდ იყოს დასაბუთებული. ამასთანავე, აუცილებელია დაფუძნებული სუბიექტების შემდგომი საქმიანობის ანალიზი და ძირითადი ტენდენციების დადგენა.

2018-2019 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა, რომ ა(ა)იპ-ების დაფუძნებისა და საქმიანობის პროცესი მიმდინარეობდა სისტემური ნაკლოვანებებით, რამაც საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვა გამოიწვია, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტში შექმნილი ა(ა)იპ-ებიდან რამდენიმეს ფუნქცია-მოვალეობა იდენტურია ან ემთხვევა სახელმწიფო ან/და ადგილობრივი ორგანოების მიერ შესასრულებელ საქმიანობას;
- ა(ა)იპ-ებში დასაქმებული თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობა დუბლირებულია ან ერთი და იგივე თანამშრომელი ერთდროულად დასაქმებულია სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში;
- ა(ა)იპ-ებში საშტატო რიცხოვნობა არაგონივრულადაა გაზრდილი, მოსამსახურის ფუნქციური დატვირთვა არ დასტურდება ან გაურკვეველია.

მაგალითად:

- ხონის მუნიციპალიტეტში ერთი და იმავე საქმიანობის განსახორციელებლად ფუნქციონირებს 2 ა(ა)იპ. ა(ა)იპ – ხონის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი და ა(ა)იპ – ხონის მუნიციპალიტეტის მადლიერების სახლი. ორივე იურიდიული პირი ახორციელებს სოციალურად დაუცველი პირების კვებით უზრუნველყოფას და მდებარეობს ქალაქ ხონში;
- ფოთის მუნიციპალიტეტში, ა(ა)იპ – ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური კვლევის ცენტრს წესდებით განსაზღვრული აქვს საქმიანობის წარმართვა რამდენიმე მიმართულებით: ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობის მიღება, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ სამოქალაქო აქტების მოძიება და სხვ. საკითხის შესწავლით ირკვევა, რომ აღნიშნულ ფუნქციებს ასრულებენ სხვადასხვა სახელმწიფო და ადგილობრივი უწყება/მუნიციპალიტეტის სამსახურები;
- 2017 წლის დასაწყისიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა 21 ა(ა)იპ და 5 – შპს. 2017 წლის ბოლოს, მუნიციპალიტეტების გაერთიანების შედეგად ჩატარებული რეორგანიზაციით, ა(ა)იპ-ების რაოდენობა 12-მდე შემცირდა, რასაც უნდა გამოეწვია სუბსიდიის შემცირებაც, მინიმუმ, ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში. მიუხედავად ამისა, 2018 წელს მუნიციპალიტეტმა ზოგიერთი ა(ა)იპ-ის დაფინანსებაზე მეტი თანხა დახარჯა, ვიდრე 2017 წელს. აღსანიშნავია, რომ ახლადშექმნილი სუბიექტების ფუნქცია-მოვალეობები არ შეცვლილა და ხარჯები ძირითადად გაზრდილია დასაქმებულთა რიცხოვნობის მატებით;



- ქობულეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ – კულტურის ცენტრი. ამ ა(ა)იპ-ში რამდენიმე პირი დასაქმებულია სოფლების კულტურის სახლებსა და სასოფლო კლუბებში.²⁵ საკითხის შესწავლით გამოვლინდა, რომ აღნიშნულ ობიექტებზე არ არის გახსნილი რაიმე დანიშნულების წრე. შესაბამისად, რიგი თანამშრომლები არ არიან ფუნქციურად დატვირთულნი.

მუნიციპალიტეტებში არსებული ა(ა)იპ-ების მართვაში გამოვლენილი სისტემური ნაკლოვანებების დასარეგულირებლად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 18 მუნიციპალიტეტს²⁶ მისცა რეკომენდაცია, რომლის თანახმად, აღმასრულებელმა ორგანოებმა უნდა შეისწავლონ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობა და არსებული საკადრო პოლიტიკა, რათა განისაზღვროს, რამდენად პასუხობს მათი საქმიანობა მუნიციპალიტეტის მიზნებსა და ამოცანებს.

ქვეყნის მასშტაბით, პრობლემის გადასაჭრელად და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად მიზანშეწონილია, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი დარგობრივი კომიტეტის ჩართულობით შემუშავდეს კონკრეტული რეკომენდაციები და ინსტრუქციები.

4. მუნიციპალური ქონების განკარგვა

2018-2019 წლებში განხორციელებული აუდიტების შედეგად გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტებს არასათანადო კონტროლი აქვთ დანესხებული აქტივების აღრიცხვის, განკარგვისა და დაცვის მხრივ. კერძოდ, მუნიციპალიტეტები ვერ უზრუნველყოფენ იჯარით გაცემული ქონებიდან მისაღები შემოსავლების სრულ და დროულ მობილიზებას; საიჯარო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის შემთხვევაში მოიჭარებებზე არ არის დარიცხული პირგასამტეხლო, გასხვისებისას ქონების საბაზრო ღირებულება შემცირებულია და სხვ.

ქონების მართვისა და განკარგვის პროცესში 15 მუნიციპალიტეტში²⁷ არსებული დარღვევანაკლოვანებების შედეგად ბიუჯეტში მიუმართავმა თანხებმა ჯამში 17,600.0 ათას ლარზე მეტი შეადგინა.

მაგალითად:

- ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია ვერ უზრუნველყოფს იჯარით გაცემული ქონების სათანადო ადმინისტრირებას, რის გამოც 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით მოიჭარებების მიერ გადაუხდელი საიჯარო ქირა დარიცხული საურავის გათვალისწინებით შეადგენდა ჯამში 1,765.5 ათასი ლარს;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა მიწის ნაკვეთების (მათ შორის, ზღვისპირა ზოლში) რეალიზაციისათვის გამოიყენა საჯარო აუქციონის ფორმა, რომელიც მიმდინარეობდა უკონკურენტო გარემოში. გამგეობამ დაკარგა, სავარაუდოდ, 10 მილიონ ლარზე მეტი დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა;
- სამტრედიის მუნიციპალიტეტი არ არიცხავდა პირგასამტეხლოს იმ მოიჭარებებს, რომლებიც არ ასრულებდნენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. შედეგად, ადგილობრივმა ბიუჯეტმა ვერ მიიღო 30.3 ათასი ლარის შემოსავალი.

25 სამი სოფლის - კულტურის სახლები და ექვსი სოფლის - სასოფლო კლუბები.

26 ხონი, გორი, ქობულეთი, ლანჩხუთი, ბოლნისი, ლენტეხი, თერჯოლა, ცაგერი, ხარაგაული, სამტრედია, კასპი, მარნეული, ჭიათურა, ხელვაჩაური, ასპინძა, დუშეთი, ფოთი, ზუგდიდი.

27 ასპინძის, თიანეთის, რუსთავის, თბილისის, სამტრედიის, ოზურგეთის, წალენჯიხის, მცხეთის, გორის, ქობულეთის, ლანჩხუთის, სავარეჯოს, ახმეტის, ამბროლაურის და ხონის მუნიციპალიტეტები.



აღსანიშნავია, რომ 15 მუნიციპალიტეტში²⁸ გამოვლინდა 25 სხვადასხვა სახის დარღვევა, რომლის ფინანსური შედეგის ზუსტი იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, თუმცა მათი გავლენა მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველია, კერძოდ:

- მუნიციპალური ქონების ნაწილით სარგებლობენ არაუფლებამოსილი პირები, რომლებიც შესაბამის საზღაურს არ იხდიან;
- მუნიციპალიტეტებმა მაღალი ლიკვიდურობის ქონება გასცეს აუქციონის გარეშე, პირდაპირი განკარგვის ფორმით;
- მუნიციპალიტეტები ქონების საწყის საპრივატიზებო ღირებულებას განსაზღვრავენ საბაზრო ღირებულებაზე არსებითად დაბალი ფასით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციით, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა და აღმასრულებელმა ორგანოებმა მიზანშეწონილია შეიმუშაონ ქონების მართვის კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქონების განკარგვის პროცესის გაუმჯობესებას, ქონების თვითნებურად დაკავების თავიდან აცილებას ან/და დროულად გამოვლენას. ამასთანავე, მერიის შესაბამისმა სამსახურებმა უნდა გაატარონ ქმედითი ღონისძიებები გადაუხდეელი ქირისა და დარიცხული საურავის ადგილობრივ ბიუჯეტში მობილიზების მიზნით. ასევე საბაზრო ფასებთან შესაბამისობის მიზნით, უზრუნველყონ სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების საიჯარო ღირებულების გადახედვა. წარმოდგენილი ინფორმაციების მიხედვით, მუნიციპალიტეტებში დაგეგმილია ღონისძიებები საიჯარო ურთიერთობისა და ქონების აღრიცხვის პროცესების მონესრიგების მიზნით.

5. ფინანსური ჩასურსების მართვა

საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტისათვის განსაკუთრებით აქტუალურია ფინანსური რესურსების შეზღუდულობის საკითხი. თვითმმართველი ერთეულების წინაშე დგას სხვადასხვა პრობლემა, რომელთა გადაწყვეტაც ვერ ხერხდება საკმარისი თანხების არარსებობის გამო. ასეთ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებული რესურსების რაციონალური და დროული განკარგვა.

ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მუნიციპალიტეტების ანგარიშებზე ნაშთის სახით ირიცხება არსებითი მოცულობის ფულადი სახსრები, მათ შორის, თავისუფალი ნაშთები. ნაშთების არსებობა გამომწვეულია ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში არსებული ხარვეზებით, რაც აღმასრულებელი ორგანოების არაეფექტიან მენეჯმენტზე მიუთითებს. კერძოდ, მუნიციპალიტეტები ვერ უზრუნველყოფენ ბიუჯეტის შემოსავლების სათანადოდ დაგეგმვასა და ბიუჯეტში დროულ ასახვას. ასევე დაგეგმილ ვადებში ვერ ახორციელებენ ინფრასტრუქტურულ პროექტებს და მოსახლეობას მუნიციპალური სერვისები არ მიეწოდება ან დაგვიანებით მიეწოდება. შედეგად, მუნიციპალიტეტები ეფექტიანად ვერ განკარგავენ საკუთრებაში არსებულ ფულად რესურსს და ანგარიშზე რჩებათ მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივი.

ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა შემდეგი:²⁹

28 თიანეთის, ზუგდიდის, თბილისის, მესტიის, ოზურგეთის, აბაშის, მცხეთის, ბოლნისის, ბათუმის, მარნეულის, დუშეთის, სენაკის, თერჯოლის, ონის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტები.

29 აღებულია იმ მუნიციპალიტეტების მონაცემები, რომელთაც ანგარიშზე ერიცხებოდათ მნიშვნელოვანი მოცულობის ნაშთები.



- 2016 წლის პირველი იანვრისათვის 12 მუნიციპალიტეტს ნაშთის სახით ერიცხებოდა 16,464.2 ათასი ლარი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი³⁰ – 1,865.7 ათასი ლარი);
- 2017 წლის პირველი იანვრისათვის 21 მუნიციპალიტეტს ნაშთის სახით ერიცხებოდა 45,680.0 ათასი ლარი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი – 8,423.5 ათასი ლარი);
- 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით 22 მუნიციპალიტეტის ჯამური ნაშთი 57,479.0 ათასი ლარია (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი – 16,616.1 ათასი ლარი);
- 2019 წლის პირველი იანვრისათვის 10 მუნიციპალიტეტის ჯამური ნაშთი 46,220.2 ათასი ლარია (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი – 12,578.1 ათასი ლარი).³¹

ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზები დაფიქსირდა შემოწმებული მუნიციპალიტეტების უმეტესობაში, რაც ნიშნავს, რომ პრობლემა სისტემურ ხასიათს ატარებს და თითქმის ყველა მუნიციპალიტეტისათვის აქტუალურია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა შესაბამისი რეკომენდაციები მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში მობილიზებული სახსრების დროული და ეფექტიანი გამოყენების მიზნით. აღსანიშნავია, რომ თვითმმართველი ერთეულების ნაწილში შეინიშნება დადებითი ტენდენცია საბიუჯეტო ნაშთების შემცირების კუთხით, თუმცა მათ მიერ გატარებული ღონისძიებები ამ მიმართულებით არასაკმარისია. საჭიროა, მუნიციპალიტეტების მხრიდან გააქტიურდეს მუშაობა გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს ფინანსური რესურსების მართვის პროცესის გაუმჯობესებას.

6. მუნიციპალური ქონების ინვენტარიზაცია

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,³² მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან ინვენტარიზაცია განახორციელონ დადგენილი პერიოდულობით, აქტივებისა და ვალდებულებების კონტროლის მიზნით. აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ 25 მუნიციპალიტეტში³³ ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა ან განხორციელდა არასრულად, კერძოდ: სრულად არ არის აღრიცხული უძრავი ქონება და ვალდებულებები; არ არის შედგენილი საინვენტარიზაციო აქტები; არ არის გამოყვანილი ინვენტარიზაციის შედეგები.

ჩაუტარებელი ინვენტარიზაციის პრობლემა სისტემურია და დამახასიათებელია თითქმის ყველა მუნიციპალიტეტისთვის. აღნიშნული მიუთითებს, რომ თვითმმართველობებს არ აქვთ დაწესებული სათანადო კონტროლი აქტივების აღრიცხვის, განკარგვისა და დაცვის მხრივ; არ ფლობენ ინფორმაციას საკუთრებაში არსებული ქონების მდგომარეობის შესახებ. შედეგად, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი აქტივებისა და სხვა რესურსების დაკარგვის, დაზიანებისა და არამართლზომიერი გამოყენების რისკები.

30 თავისუფალი ნაშთი - ნაშთის ის ნაწილი, რომელიც არ არის გათვალისწინებული რაიმე მიზნებისათვის.

31 იმის გამო, რომ შემოწმებულია სხვადასხვა პერიოდი, წლების მიხედვით წარმოდგენილია მუნიციპალიტეტების განსხვავებული რაოდენობა.

32 „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

33 თიანეთის, რუსთავის, ხობის, ზუგდიდის, სამტრედიის, წალენჯიხის, ჩოხატაურის, აბაშის, ცაგერის, მცხეთის, გორის, ლანჩხუთის, ფოთის, ლენტეხის, ლაგოდეხის, მარნეულის, სიღნაღის, ბაღდათის, წალკის, დუშეთის, ახმეტის, თერჯოლის, ონის, ხონის და ხარაგაულის მუნიციპალიტეტები.



სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მუნიციპალიტეტებს მისცა რეკომენდაცია, რომ მკაცრად დაიცვან ინვენტარიზაციის პროცესის პერიოდულობა, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას. მიღებული ინფორმაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტებმა დაიწყეს რეკომენდაციის შესასრულებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

7. საკონსულტაციო მომსახურება

მუნიციპალიტეტები საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიულ საკითხებში კონსულტაციების მიღების მიზნით, ხელშეკრულებებს უფორმებენ სხვადასხვა იურიდიულ პირებს. ამ მიზნით შესწავლილი 23 მუნიციპალიტეტის³⁴ ბიუჯეტებიდან დახარჯულია 235.3 ათასი ლარი. აუდიტორული შემოწმებით გამოიკვეთა, რომ მიღებული საკონსულტაციო მომსახურება თავისი შინაარსით მერიის სამსახურების საქმიანობის იდენტურია. მუნიციპალიტეტებმა ვერ დაასაბუთეს საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის მიზანშეწონილობა. მათი განმარტებით, შესყიდვის საჭიროება გამოწვეული იყო სხვადასხვა საკითხში საჭარო მოხელეების არასათანადო კვალიფიკაციით. თუმცა, თუ დასაქმებულები ვერ უზრუნველყოფდნენ საქმიანობას საკუთარი ცოდნითა და გამოცდილებით, მუნიციპალიტეტს თანხები უნდა მიემართა მათი გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებად. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მუნიციპალიტეტი ვალდებულია შრომის ანაზღაურების ფონდის 1% მიმართოს თანამშრომლების გადამზადებად. მიუხედავად ამისა, არც ერთ მუნიციპალიტეტს ამ მიმართულებით თანხები პრაქტიკულად არ დაუხარჯავს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა რეკომენდაცია, რომ მუნიციპალიტეტებმა არ შეიძინონ ისეთი მომსახურება, რომლის შესრულება მათი სამსახურების ვალდებულებაა და საბიუჯეტო თანხები გამოიყენონ თანამშრომლების გადამზადებად. აღნიშნული ხელს შეწყობს საბიუჯეტო თანხების რაციონალურ ხარჯვას და მუნიციპალიტეტებში კვალიფიციური თანამშრომლების რაოდენობის გაზრდას. მიღებული ინფორმაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტებმა დაიწყეს რეკომენდაციის შესასრულებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, შიდა აუდიტში გადამზადდა 100-ზე მეტი თანამშრომელი.

8. შიდა აუდიტი

შიდა აუდიტის სამსახური მუნიციპალიტეტის წარმატებული და ეფექტიანი საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. მისი მიზანია დაეხმაროს მუნიციპალიტეტს არსებული რისკების მართვაში, შიდა კონტროლის და მმართველობითი პროცედურების გაუმჯობესებაში. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად შიდა აუდიტის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს. გაცემული რეკომენდაციების დახმარებით ორგანიზაციამ უნდა შეძლოს ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა, რომლითაც უზრუნველყოფს მომავალში დარღვევების განმეორების პრევენციას, მუნიციპალიტეტის ფუნქციონირების პროცესში დაშვებული ხარვეზების აღმოჩენას, შეცდომების გამოვლენას და სხვ. ორგანიზაციის

34 წალკის, დუშეთის, გორის, სიღნაღის, საჩხერის, ლანჩხუთის, ბოლნისის, ტყიბულის, თერჯოლის, ონის, ჩოხატაურის, აბაშის, ცაგერის, მცხეთის, ხარაგაულის, სამტრედიის, წალენჯიხის, ოზურგეთის, ზუგდიდის, მარნეულის, ჭიათურის, მესტიისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტები.



ხელმძღვანელი, თავის მხრივ, ვალდებულია შემდგომ საქმიანობაში გაითვალისწინოს შიდა აუდიტის ანგარიშში ასახული რეკომენდაციები და შეფასებები, დროულად მიიღოს სათანადო ზომები და განახორციელოს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტებში შექმნილი შიდა აუდიტის სამსახურების უმრავლესობამ სათანადოდ ვერ შეასრულა საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები. მათ სრულად არ შეუსწავლიათ ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესები და შიდა კონტროლის სისტემები. არ გამოუვლენიათ სისტემური ხასიათის რისკები და მათი აღმოფხვრის მიზნით არ გაუციათ შესაბამისი რეკომენდაციები. გაცემულია ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები, რომლებიც არ არის მიმართული კონკრეტული ნაკლოვანების გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად და ხარვეზების პრევენციის უზრუნველსაყოფად. შიდა აუდიტის სამსახურების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი ძალიან დაბალია. სამსახურები არ ახორციელებენ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს, არ აფასებენ – რამდენად საკმარისი და შესაფერისია მუნიციპალიტეტის მხრიდან რეკომენდაციების საპასუხოდ განხორციელებული რეაგირება და სხვ. შესაბამისად, სამსახურების საქმიანობა ვერ უზრუნველყოფდა მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული ამოცანების ეფექტიანად შესრულებას, დასახული მიზნების მიღწევას, რისკების მართვას და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას. ამასთანავე, შიდა აუდიტის სამსახურების მიერ ვერ იქნა გამოვლენილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებში დაფიქსირებული დარღვევა-ნაკლოვანებების უმრავლესობაც.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩატარებული აუდიტების შედეგად რეკომენდაცია გასცა თითქმის ყველა მუნიციპალიტეტისათვის. რეკომენდაციები ორიენტირებულია შიდა აუდიტის სამსახურების საქმიანობის გაუმჯობესებაზე, რადგან ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემა დიდწილად განაპირობებს ორგანიზაციის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას.

8. სხვადასხვა დაჩქარება-ნაკლოვანება

2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტებში ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლინდა 89 სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანება, საერთო თანხით – 6,508.3 ათასი ლარი. აღნიშნული გარემოებები მუნიციპალიტეტებისთვის არ ატარებს სისტემურ ხასიათს, მაგრამ დარღვევის მნიშვნელობიდან გამომდინარე, არსებითი გავლენა იქონია მუნიციპალიტეტების საქმიანობის კანონშესაბამისობაზე, ხარჯის ეკონომიურობასა და ეფექტიანობაზე.

მაგალითად:

- ქუთაისის მერიამ 2016 წელს მის მიერ განხორციელებული პროექტების რეკლამირებისთვის, სარეკლამო რგოლის დამზადებასა და სატელევიზიო ეთერში გაშვებაზე ჯამში 90.8 ათასი ლარი გადაიხადა. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტმა დააფინანსა ისეთი პროექტების რეკლამირება, რომლის ძირითადი ნაწილის განხორციელებაში მას მონაწილეობა არ მიუღია. გარდა ამისა, ვიდეორგოლებში მითითებული პროექტების უმრავლესობა, რეკლამის ეთერში გაშვების პერიოდისათვის არ იყო დასრულებული;
- 2015 წელს თბილისის მუნიციპალიტეტში „მენარმეობის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული – „იაფი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობის“ პროექტი თავისი არსით გულისხმობდა უზრუნველყოფის არმქონე ბიზნესებისათვის



დაფინანსების მიღების შესაძლებლობას. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, მუნიციპალიტეტის მთავრობამ გამოყოფილი თანხებიდან 60%-ზე მეტი მიმართა ისეთი ბიზნესმიმართულებების დაფინანსებაზე, რომლებიც თბილისის მასშტაბით საკმაოდ გავრცელებული და განვითარებულია. მიუხედავად ამისა, საწარმოებმა პროგრამის ფარგლებში მიიღეს კრედიტი, რომლის საპროცენტო განაკვეთი საბაზროზე ნაკლები იყო (6%).

- შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ საქმიანობის შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:
 - მგზავრთა საშელავათო პირობების არასათანადო გავრცელების გამო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიადგა ფინანსური ზარალი – ერთ მილიონ ლარზე მეტი ოდენობით;
 - 2017 წელს კვირაში 48 საათზე მეტი იმუშავა კომპანიის ავტობუსის 1,398-დან 1,379-მა მძღოლმა, ხოლო 2018 წელს – 1,438-დან 1,420-მა მძღოლმა. ზეგანაკვეთურ შრომას განაპირობებს მძღოლების სამუშაო რეჟიმი. კერძოდ, მათი ძირითადი ნაწილი დასაქმებულია დღეგამოშვებით და დღის განმავლობაში მუშაობს 17 საათს და მეტს. აღნიშნული კატეგორიის დასაქმებულების სამუშაო პერიოდის ზეგანაკვეთური გაზრდა შესაძლოა შეიცავდეს რისკებს, მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილების თვალსაზრისით.

ანგარიში მოიცავს 2018-2019 წლებში ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებებს. აღნიშნული აუდიტების ჩამონათვალი წარმოდგენილია დანართის სახით (თან ერთვის).



შენაბამოსობის აუდიოვიზუალიზაცია

[illegible]

16	ცაგერის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები
17	ნალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები
18	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები
19	ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები
20	ხობის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები
21	ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები
22	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების გარე განათების ქსელის ექსპლოატაციისა და რეაბილიტაციის (პროგრამის კოდი: 02 05) პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი	2015-2016 წლები
23	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის (პროგრამის კოდი: 04 00) პროგრამის ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი	2015-2016 წლები
24	2016 წელს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სფეროებში დადგენილი წესების დაცვაზე ზედამხედველობის განხორციელების, დარღვევათა გამოვლენის და კანონმდებლობის შესაბამისად მათზე რეაგირების, დარღვევათა თავიდან ასაცილებლად პრევენციულ ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების შესაბამისობის აუდიტი	2015-2016 წლები
25	ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების, ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციისა და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტი	2015-2016 წლები
26	თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2016-2017 წლები
27	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	2017 წელი
28	ქ. ბათუმი – სოციალური უზრუნველყოფა	2016-2017 წლები
29	შუახევის მუნიციპალიტეტში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები	2017 წელი
30	ხულოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები	2016-2017 წლები
31	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები
32	ასპინძის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები
33	გორის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები



34	დუშეთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები
35	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები
36	თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები
37	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები
38	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები
39	მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები
40	მესტიის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები
41	მცხეთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები
42	სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები
43	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები
44	ნალკის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები
45	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები
46	ხონის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები
47	შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები
48	ქ. ბათუმის მერიის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემისა და მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობის საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი	2016-2018 წლები
49	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2018 წელი
50	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი	2018 წელი
51	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვისა და განკარგვის შესაბამისობის აუდიტი	2017-2018 წლები



ეჭეუთიანობის აუდიტები

№	დასახელება	სფერო
1	ქალაქ თბილისის განაშენიანების პროცესის მართვა	ეკონომიკური საქმიანობა
2	ქალაქ ბათუმში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდასაჭერად განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობა	საბინაო-კომუნალური მეურნეობა
3	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში, ბათუმისა და ქედის მუნიციპალიტეტების ქონების მართვა	ეკონომიკური საქმიანობა

ფინანსური აუდიტი

№	ხელისუფლება	დასახელება	აუდიტის პერიოდი
1	მუნიციპალური ბიუჯეტი	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ფინანსური აუდიტი	2017 წელი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE